დანართი

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. დეპარტამენტი არის სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრუქტურული ქვედანაყოფი.

3. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით, ცენტრის დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ცენტრის გენერალური დირექტორისა და მოადგილის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1.არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

ა) არაგადამდები დაავადებების (ქრონიკული დაავადებები, ტრავმატიზმი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, გარემოს ჯანმრთელობა) სფეროში ეპიდზედამხედველობის, პრევენციის, კონტროლის ღონისძიებების, შეფასების ინდიკატორების შემუშავება;

ბ) სხვადასხვა წყაროდან მონაცემთა შეგროვება/დამუშავება, მონაცემთა ეპიდემიოლოგიური ანალიზი, ავადობის, სიკვდილიანობის ტენდენციების, ჯანმრთელობის რისკების დადგენა;

გ) რეგისტრების განვითარება;

დ) შესაბამის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

ე) აგდ-თა ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესებაზე, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებზე მუშაობა;

ვ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი აქტების (ტექნიკური რეგლამენტი, ჰიგიენური ნორმები, სტანდარტები და ა.შ.) და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;

ზ)სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების რეგისტრაცია;

თ) რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების შემთხვევების ეპიდკვლევა;

ი)ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშგებისთვის მასალების მომზადება;

კ) სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

ლ) კვლევების საჭიროების განსაზღვრა, ზედამხედველობა, განხორციელება, დაკვეთა და ანგარიშგების უზრუნველყოფა;

მ)ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმა და განხორციელება;

ნ) ქცევით რისკ ფაქტორებზე ზედამხედველობა (თამბაქო, ალკოჰოლიზმი, წამალ-დამოკიდებულება, ფიზიკური აქტივობა, კვება);

ო) მონაცემთა ეპიდემიოლოგიური ანალიზი და ანგარიშის მომზადება;

პ) ქცევითი ფატორების კვლევებზე დაფუძნებული ეფექტური ჯანმრთელობის ხელმშემწყობი ინტერვენციების დაგეგმა და განხორციელება სხვადასხვა სექტორთან თანამშომლობით;

ჟ) კომპეტენციის სფეროს მიხედვით, მოსხლეობის საგანმანათლებლო სახის მასალების შემუშავება ან შემუშვებაში მონაწილეობა;

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის კურატორი მოადგილის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

გ) ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის სამმართველოების მუშაობას;

დ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის სამმართველოებსა და დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ვ) აკონტროლებს გენერალური დირექტორის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, გენერალური დირექტორის მოადგილეების დავალებების შესრულებას დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ;

ზ) აკონტროლებს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;

თ) ავიზებს დეპარტამენტში და, ასევე, კომპეტენციის ფრგლებში ცენტრში მომზადებული დოკუმენტების პროექტებს და წერილებს;

ი) წარუდგენს გენერალურ დირექტორს/გენერალური დირექტორის კურატორ მოადგილეს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

კ) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს გენერალურ დირექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

ლ) წარუდგენს გენერალურ დირექტორს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

მ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად;

ნ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ო) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

პ) ასრულებს გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეების ცალკეულ დავალებებს;

რ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის ან მის მიერ დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილებას

ახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

5.დეპარტამენტში შემავალ სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი.

6.სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას;

ბ) განიხილავს და თანამშრომელთა შორის ანაწილებს სამმართველოში შემოსულ დოკუმენტაციას;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს თანამშრომელთა შორის, უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზაციას, პასუხისმგებელია თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვაზე;

დ)კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს სამმართველოში, ასევე, დეპარტამენტში და/ან ცენტრში მომზადებული დოკუმენტების პროექტებს და წერილებს;

7. სამმართველოს უფროსი სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

8. სამმართველოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამმართველოს უფროსის უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამმართველოს ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 4. დეპარტამენტის ქვედანაყოფები და მათი კომპეტენციები

1.დეპარტამენტი მოიცავს შემდეგ ქვედანაყოფებს:

ა) ქრონიკული დაავადებების სამმართველო;

ბ) ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველო;

გ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამმართველო;

დ) გარემოს ჯანმრთელობის სამმართველო

2. დეპარტამენტში სამსახურს ეწევიან:

ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) სამმართველოს უფროსი;

გ) მთავარი სპეციალისტი;

დ) უფროსი სპეციალისტი;

ე) სპეციალისტი.

3. დეპარტამენტში მუდმივ და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება მიღებულ იქნეს შტატგარეშე თანამშრომელი.

4. დეპარტამენტის თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორი.

5. დეპარტამენტის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, ცენტრის დებულებით, ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობით და საქართველოს კანონმდებლობით.

6. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება ცენტრის საშტატო განრიგით, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს ცენტრის გენერალური დირექტორი.

7. ქრონიკული დაავადებების სამმართველოს ფუნქციებია:

ა) არაგადამდებ დაავადებათა და ტრავმატიზმის ავადობისა და სიკვდილიანობის ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) არაგადამდები დაავადებების პრევენციის, კონტროლისა და ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

გ) შეფასების ინდიკატორების შემუშავება, მისი გამოყენებით არსებული სიტუაციის/სახელმწიფო პროგრამების ანალიზი/შეფასება;

დ) არაგადამდებ დაავადებათა და ტრავმატიზმის ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესებაზე, რეგისტრების დანერგვა/განვითარებაზე მუშაობა;

ე) არაგადამდებ დაავადებათა და ტრავმატიზმის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებზე მუშაობა;

ვ) არაგადამდები დაავადებებისა და ტრავმატიზმის სფეროში ჩასატარებელი კვლევების საჭიროების განსაზღვრა, ზედამხედველობა, განხორციელება, დაკვეთა და ანგარიშგების უზრუნველყოფა; -განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის წარმოება;

ზ) არაგადამდები დაავადებებისა და ტრავმატიზმის საკითხებისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო მასალის შემუშავებაში მონაწილეობა;

თ) სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან არაგადამდებ დაავადებათა შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ეპიდემიოლოგიური ანალიზის ჩატარება;

ი) ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშგებისათვის მასალების მომზადება;

კ) ეპიდ-ბიულეტენის მომზადებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

ლ) არაგადამდები დაავადებების შესახებ ჟურნალ-გაზეთებში სტატიების ბეჭდვა და რეცენზირებული მასალისა და საჯარო სტატისტიკის მიწოდება;

მ) არაგადამდები დაავადებების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფესიულ გაერთიანებებთან, ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

8. ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინტერვენციების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის ჯანმრთელობის ქცევითი ფაქტორების ფორმირებისა და მოდიფიცირებისკენ მიმართული სახელმწიფო სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებისა თუ სხვა პროექტების შემუშავება, განხორციელება ან/და დაკვეთა და კოორდინირება;

ბ) ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების, მარეგულირებელი მექანიზმების, ინფრასტრუქტურისა თუ სხვა ინიციატივების მომზადება;

გ) ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინდიკატორების ანალიზი და პრობლემების იდენტიფირება შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

დ) ჯანმრთელობის ქცევითი ფაქტორების (თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, წამალდამოკიდებულება და ა.შ.) ეპიდზედამხედველობის მეთოდოლოგიის შემუშავება და განხორციელება;

ე) ჯანმრთელობის ქცევითი ფაქტორების (თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, წამალდამოკიდებულება და ა.შ.) კვლევების (მ.შ. ფოკუს ჯგუფების, KAPS, და სხვა) დაგეგმვა, ზედამხედველობა, განხორციელება ან/და დაკვეთა; -განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის წარმოება;

ვ) არაგადამდები დაავადებების სფეროში ჩატარებული კვლევების მონაცემთა ბაზის გამოყენებით მეორადი/ჩაღრმავებული კვლევების წარმოება;

ზ)სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან ქცევითი რისკ-ფაქტორების შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ეპიდემიოლოგიური ანალიზის ჩატარება;

თ) ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშგებისათვის მასალების მომზადება;

ი) ეპიდ-ბიულეტენის მომზადებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

კ) ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში ჩატარებული კვლევების მონაცემთა ბანკისა და რეესტრის წარმოება;

ლ) ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფესიულ გაერთიანებებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

მ) საგანმანათლებლო მასალების მომზადება ჯანმრთელობის ქცევით რისკებზე; გადამდები და არაგადამდები დაავადებების, მათი რისკებისა და პრევენციის შესახებ მომზადებული მასალის მოსახლეობისთვის ადაპტირება;

ნ) ჯანმრთელობის ხელშეწყობის კომუნიკაციის დაგეგმვა და განხორციელებაში მონაწილეობა: პრობლემის ანალიზის საფუძველზე გზავნილების შემუშავება, ტესტირება და კომუნიკაცია შესაბამისი საკომუნიკაციო არხით, მედიის საინფორმაციო/საკომუნიკაციო პაკეტის მომზადება ჯანმრთელობის ქცევითი რისკების შესახებ;

ო) ჯანმრთელობის ხელშეწყობის თემატიკაზე საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ვიდეო/რადიო სარეკლამო კლიპების გადაღების და საეთერო დროის დაგეგმვა/ შესყიდვის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

პ) www.ncdc.ge და ცენტრის facebook-საიტებზე, ინტერნეტ ბლოგებზე საგანმანათლებლო მასალების პერმანენტულად განთავსება ჯანმრთელობის კომუნიკაციის მიზნით;

ჟ) ფლაერების და მცირე საინფორმაციო ბროშურების შემუშავება, ბეჭდვა-გავრცელების დაგეგმა და განხორციელება/ორგანიზება;

რ) დაგეგმილი ინტერვენციების, მათ შორის საკომუნიკაციო აქტივობების მიმდინარეობის მონიტორინგი და შეფასება;

9. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) დედათა და ბავშვთა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის, შეფასების, მართვის ღონისძიებათა შემუშავება; შეფასების ინდიკატორების, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტირების, ზედამხედველობის წესის, ყველა დონის (საერთაშორისო, ეროვნული) ანგარიშგებისა და ინფორმაციის კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

ბ) რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების შემთხვევების ეპიდკვლევის განხორციელება;

გ) დედათა სიკვდილის შემთხვევების ეპიდკვლევა სპეციალურად შემუშავებული პროტოკოლების საშუალებით;

დ) სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა კომპეტენციის შესაბამისად;

ე) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ჩასატარებელი კვლევების საჭიროების განსაზღვრა, ზედამხედველობა, განხორციელება, დაკვეთა და ანგარიშგების უზრუნველყოფა; - განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის წარმოება;

ვ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო მასალის შემუშავებაში მონაწილეობა;

ზ) სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან დედათა და ბავშვთა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ეპიდემიოლოგიური ანალიზის ჩატარება;

თ) ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშგებისათვის მასალების მომზადება;

ი) ეპიდ-ბიულეტენის მომზადებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

კ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ ჟურნალ-გაზეთებში სტატიების ბეჭდვა და რეცენზირებული მასალისა და საჯარო სტატისტიკის მიწოდება.

10. გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) გარემოს ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის, შეფასების, მართვის ღონისძიებათა შემუშავება;

ბ) გარემოს ჯანმრთელობის შეფასების ინდიკატორების, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტირების, ზედამხედველობის წესის, ყველა დონის (საერთაშორისო, ეროვნული) ანგარიშგებისა და ინფორმაციის კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

გ) წყლის, ჰაერისა და ნიადაგის უსაფრთხოების, ფიზიკური ფაქტორების (ხმაური, ვიბრაცია, ელექტრო-მაგნიტური გამოსხივება და ა.შ.) უსაფრთხოების, ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების, სურსათის უსაფრთხოების (მ.შ. ჩვილ ბავშვთა, სპეციალიზებული, ფორტიფიცირებული) განმსაზღვრელი ნორმების, რისკის შეფასების მექანიზმებისა და ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება;

გ) პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და საწარმოო ჰიგიენის უზრუნველყოფის ნორმებისა და გაიდლაინების შემუშავებაში მონაწილეობა;

დ) ინფორმაციული და ანალიტიკური უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავების პროცესისათვის;

ე) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მონიტორინგის განმახორციელებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მონიტორინგის მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი;

ვ) პროექტების (მ.შ. ნორმატიული აქტების პროექტების) ექსპერტიზა და დაინტერესებულ პირთა კონსულტირება გარემოს ჯანმრთელობის სფეროში;

ზ) გარემოს საზიანო ზემოქმედებით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობის ტენდენციების, ჯანმრთელობის რისკების განსაზღვრა;

თ) სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების რეგისტრაცია და რეგისტრირებული საშუალებების რეესტრის წარმოება და ინფორმაციის განთავსება ცენტრის ვებ-გვერდზე www.ncdc.ge;

ი) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი აქტების (ტექნიკური რეგლამენტი, ჰიგიენური ნორმები, სტანდარტები და ა.შ.) და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;

კ) ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშების მომზადება გარემოს ჯანმრთელობის სფეროში;

ლ) გარემოს ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფესიულ გაერთიანებებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;